

ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის

შედარებითი კვლევების დარგობრივი საბჭოს

სხდომის ოქმი N 5

თბილისი, 6 მარტი, 2023

ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს წევრები:

1. **ნინო პოპიაშვილი** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **მარინე გიორგაძე** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი - **საბჭოს მდივანი;**
3. **ბელა წიფურია** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი - **საბჭოს წევრი;**
4. **ლევან ცაგარელი** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი - **საბჭოს წევრი;**
5. **მარიამ მირესაშვილი** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის განყოფილების უფროსი - **საბჭოს წევრი;**
6. **მარინა ტურავა** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
7. **ნინო გიორგაძე** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
8. **ნესტან კუტივაძე** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
9. **ნესტან სულავა** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული

ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი**;

10. **დიანა მიქელაძე** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით - **საბჭოს წევრი**;
11. **ნესტან კუტივაძე** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი - **საბჭოს წევრი**
12. **ქეთევან გრძელიძე** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი**;
13. **ირაკლი ხვედელიძე** - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის სამეცნიერო განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი - **საბჭოს წევრი**.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:**

1. **ქეთევან ფანჩულიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსი;
2. **ნინო გოგლიჩიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი.

კვალიფიკაციების სამსახურის კოორდინატორი ნინო გოგლიჩიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 15 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 13 წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

**საბჭოს სხდომა დაიწყო 15:05 სთ-ზე.**

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა წარადგინა დღის წესრიგი, დარგობრივი მახასიათებლის შესახებ წარმოდგენილი კომენტარების განხილვა და დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარადგენისთვის კენჭისყრა.

**მოისმინეს**

დარგობრივი მახასიათებლის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრის წარმომადგენლის ნინო გოგლიჩიძის წინადადებები:

1. დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შესავლის მე-2 აბზაცს: „წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების კომპეტენციები პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები, აუცილებელი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, მათ მისაღწევად საჭირო სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომები/მეთოდები. მიზანშეწონილია დაემატოს შემდეგი ფორმულირება: „რესურსები და სხვა არსებითი მახასიათებლები“.

2. მიზანშეწონილია, დაკორექტირდეს შესავლის ბოლო აბზაცში მოყვანილი შემდეგი ფორმულირება: „აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, ცვლილება შევიდეს *სწავლის სფეროების კლასიფიკატორში*, სახელდობრ: კვალიფიკაციები „0232.2.5 ლიტერატურათმცოდნეობა“ და „0232.2.6 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევები“ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში დეტალური სფეროს ველის მეორე სვეტიდან გადავიდეს პირველ სვეტში. ამ ცვლილების შედეგად შესაძლებელი გახდება, ლიტერატურათმცოდნეობა დამოუკიდებელი პროგრამის სახით ისწავლებოდეს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, როგორც ეს აშშ-სა და ბოლონიის პროცესში ჩართულ ევროპულ უნივერსიტეტებშია. „და მკაფიოდ განისაზღვროს რომ წარმოდგენილი ცვლილებები ეხება როგორც ლიტერატურათმცოდნეობის, ისე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის/ლიტერატურის შედარებითი კვლევების სფეროებს, რომლებიც მე-2 სვეტიდან პირველ სვეტში უნდა გადმოვიდეს, ლიტერატურისა და ლინგვისტიკის დეტალურ სფეროში.

3. სწავლის სფეროს აღწერის 1-ელ აბზაცში მოცემული შემდეგი ფორმულირებიდან: „ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების სწავლის სფეროები განისაზღვრება ზოგადად ჰუმანიტარულ და კონკრეტულად კი ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური საკითხების ცოდნით, ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების თავისებურებებით, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის განხილვით.“ მკაფიოდ არ იკვეთება, თუ რომელია ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მომიჯნავე სწავლის სფეროები, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ან წარმოდგენილი ფორმულირება დაკორექტირდეს, ან დაემატოს შესაბამისი შინაარსის აბზაცი. საკითხზე მოსაზრებები გამოთქვას ლევან ცაგარელმა, ნინო პოპიაშვილმა, მარინე გიორგაძემ და ქეთევან გრძელიძემ.

4. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სწავლის შედეგებში არ არის გათვალისწინებული ენათმეცნიერების კომპეტენციები, ნინო გოგლიჩიძემ მაგალითად მოიყვანა ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, რომელშიც ენათმეცნიერების კომპეტენციებთან ერთად, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურის სწავლის შედეგები, ცოდნის, გაცნობიერებისა და უნარის კომპონენტში ასევე წარმოდგენილია

ლიტერატურის კომპეტენციებიც. საკითხზე მოსაზრებები გამოთქვას ლევან ცაგარელმა, მარინე ბერიძემ და ნინო პოპიაშვილმა. ცაგარელისა და ნინო პოპიაშვილის თქმით, ენათმეცნიერების გარკვეული პრინციპები ლიტერატურათმცოდნეობითი პროგრამების ჭრილში ისედაც ისწავლება, მაგალითად, სემიოტიკა. თუმცა მარინე გიორგაძისა და ლევან ცაგარელის მოსაზრებით, ენათმეცნიერების კომპეტენციების მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნად განსაზღვრით წაიშლება ზღვარი ფილოლოგიისა და ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამებს შორის, საგნები განმეორდება, ამიტომ არ არის მიზანშეწონილი ამ კომპეტენციების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მინიმალურ სავალდებულო სწავლის შედეგებში დამატება.

5. საბჭოს წინა სხდომაზე მიღწეული შეთანხმებისამებრ საბჭოს უნდა წარმოედგინა სწავლება, სწავლა შეფასების თავის 1-ლი აბზაცის ბოლო წინადადების შესახებ: „სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევისას უნდა იქნეს გათვალისწინებული სწავლების საფეხურიც — საბაკალავროდან სამაგისტროზე გადასვლისას სტუდენტისათვის დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით ინტენსიურად უნდა გამოიყენებოდეს პრობლემათა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები.“ — ალტერნატიული ფორმულირება. ლევან ცაგარელის თქმით, იგი არ ეთანხმება ამ აბზაცში წარმოდგენილ შინაარსს, რადგან აქცენტი კეთდება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების პრინციპებზე, რომელიც დოკუმენტის ამავე თავში ქვემოთ არის მითითებული, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი. ამასთან, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდზე აპელირება, რომელიც სხვა სფეროებში უფო არის დამკვიდრებული (მედიცინა, სმართალი) მისი აზრით, არ არის გამართლებული და მოცემულ კონტექსტში ლიტერატურის პროგრამებთან მიმართებით არ უნდა იყოს ხაზგასმული. აღნიშნულს დაეთანხმნენ მარინე გიორგაძე, ნესტან კუტივაძე, ნინო პოპიაშვილი და ქეთევან გრძელიძე. ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო გოგლიჩიძემ აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე მათი შეკითხვა ეხებოდა კვლევითი კომპეტენციების განვითარებაზე ჩანაწერს, რომელიც უნდა იწყებოდეს საბაკალავრო საფეხურზე და გაღრმავდეს სამაგისტრო საფეხურზე. ლევან ცაგარელის თქმით, კვლევით კომპეტენციებზე ჩანაწერი არსებობს შესაბამისი საფეხურის სწავლის შედეგებში და აღნიშნულ აბზაცში გამეორება ამძიმებს ტექსტს და იწვევს დამატებით გაურკვევლობას, ამიტომ, მიზანშეწონილია, აღნიშნული წინადადება ამოღებულ იქნეს.

6. ნინო გოგლიჩიძის წინადადებით, ტექსტის თავიდან გაცნობის შემდეგ მიზანშეწონილია 5.3 თავში „სტუდენტის შეფასება“ წარმოდგენილი შედმეგი ფორმულირება: „ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტი უნდა შეფასდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.“ გადავიდეს 5.4 თავის: „შეფასების კომპონენტები და მეთოდები“ ბოლო აბზაცად და შეიცვალოს მოცემული თავის ნუმერაცია 5.3.-ით. და შესაბამისად დაკორექტირდეს მოცემული თავის შედგომი ქვეთავების ნუმერაცია.

## დადგინეს

1. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება და შესავლის მე-2 აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების კომპეტენციები პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები, აუცილებელი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, მათ მისაღწევად საჭირო სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომები/მეთოდები, რესურსები და სხვა არსებითი მახასიათებლები.“

2. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი მოსაზრება და შესავლის ბოლო აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, ცვლილება შევიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორში, სახელდობრ: კვალიფიკაციები „0232.2.5 ლიტერატურათმცოდნეობა“ და „0232.2.6 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევები“ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში 0232 ლიტერატურისა და ლინგვისტიკის და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის (ლიტერატურის შედარებითი კვლევები) დეტალური სფეროს მეორე სვეტიდან გადავიდეს პირველ სვეტში და დამოუკიდებელი პროგრამის სახით ისწავლებოდეს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, როგორც ეს აშშ-სა და ბოლონიის პროცესში ჩართულ ევროპულ უნივერსიტეტებშია“.

3. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება და სწავლის სფეროს აღწერის 1-ელ აბზაცს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-2 აბზაცი: „ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების მომიჯნავე სფეროებია ხელოვნება, და შემდეგი სფეროები ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან: ფილოსოფია და ეთიკა, ენის დაუფლება, ფილოლოგიური მეცნიერებები, თავისუფალი მეცნიერებები, ციფრული ჰუმანიტარია, შუასაუკუნეების კვლევები, და ა.შ., ასევე სოციალური მეცნიერებები, კულტურის კვლევები, გენდერის კვლევები და სხვ.“

4. საბჭომ არ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება.

5. საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს დარგობრივი მახასიათებლის სწავლება,სწავლა შეფასების 1-ლი აბზაციდან შემდეგი ფორმულირების ამოღებას: „საბაკალავროდან სამაგისტროზე გადასვლისას სტუდენტისათვის დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით ინტენსიურად უნდა გამოიყენებოდეს პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები.“ შესაბამისად 1-ლი აბზაცის შინაარსი ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, შეირჩეს და გამოყენებულ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რელევანტური სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ადეკვატური მეთოდები. სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს

უნდა უწყობდეს სტუდენტს ახალი ინფორმაციის შეგროვებაში, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანაში, კრიტიკულ აზროვნებასა და ცოდნის გაღრმავებაში. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევას უნდა იქნეს გათვალისწინებული სწავლების საფეხურიც“.

6. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება.

## მოსმინეს

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის საკითხი, დათქმით, რომ დოკუმენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. კენჭისყრის პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ დოკუმენტის გარე ინიცირების ფარგლებში შემმუშავებელი ჯგუფის შემდეგ წევრებს: ლევან ცაგარელსა და ბელა წიფურას, რომლებიც ამავდროულად არიან ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები.

## დაადგინეს

საბჭომ დამსწრე წევრთა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენას, დათქმით, რომ დოკუმენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ცენტრის დირექტორისთვის საბჭოს მიერ, დასამტკიცებლად წარდგენილი დოკუმენტი ჩამოყალიბდა ოქმის დანართი N1-ში მითითებული ფორმულირებით.

სხდომა დასრულდა 15:40-ზე.

საბჭოს თავმჯდომარე

ნინო პოპიაშვილი



საბჭოს მდივანი

მარინე გიორგაძე



ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი  
ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების  
უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი უმაღლესი  
განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს  
VI და VII დონეები

2023

## I. შესავალი

ლიტერატურათმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც ეფუძნება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკასა და საკანონმდებლო მოთხოვნებს; ემსახურება განათლების სისტემისადმი საზოგადოების მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების ასახვასა და მათი შესაბამისი, განახლებადი კვალიფიკაციების აღწერის სტიმულირებასა და მხარდაჭერას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების კომპეტენციები პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები, აუცილებელი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, მათ მისაღწევად საჭირო სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომები/მეთოდები, რესურსები და სხვა არსებითი მახასიათებლები.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 7 (შვიდი) წელი.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა- Subject Benchmark Statement of Literary Studies and Comparative Literary Studies.

ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების დარგობრივი მახასიათებლის მიზანია, ხელი შეუწყოს საბაკალავრო (I საფეხური) და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას; პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის ჩამოყალიბებას და შემდგომ პროფესიულ განვითარებას; კარიერულ წინსვლასა და დასაქმებას; უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გაგრძელებას; აგრეთვე, ლიტერატურათმცოდნეობის სწავლის სფეროში ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებას, მოქნილობასა და ინოვაციური მიდგომების განვითარებას.

აღნიშნული დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც შეიძენს/გამოიმუშავებს სტუდენტი ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო და/ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი შეიძლება გამოიყენოს პირმა, თუ იგი მონაწილეობს ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ან საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმით გათვალისწინებული



სასწავლო კურსების შემუშავებაში, განხორციელებასა და განხილვაში. დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა/გამოყენება ასევე შესაძლებელია:

- აბიტურიენტისათვის, რომელსაც სურს, შეისწავლოს ლიტერატურათმცოდნეობა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევები;
- სტუდენტისათვის, რომელსაც აინტერესებს, რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის სფეროების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებასა და შიდა შეფასებაში ჩართული პირები;
- დამსაქმებლისათვის, რომელსაც სურს, ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო და/ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთათვის, აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრთათვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დარგობრივ მახასიათებელში აღწერილია ლიტერატურათმცოდნეობის სწავლის სფერო, ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების, შეფასების მეთოდები და სხვა დამატებითი ინფორმაცია. დარგობრივი მახასიათებლით ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით პროგრამების განმახორციელებელი ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრულია სარეკომენდაციო (სწავლება-სწავლა-შეფასების მეთოდები) და სავალდებულო (სწავლის შედეგები) დებულებები. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი, ასევე, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დარგობრივ მახასიათებელთან ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო და/ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს პერიოდულად მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტებისა და შესაბამისი პროცედურების საფუძველზე.

ლიტერატურათმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების საფუძველია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონის აღმწერები და დასაქმების ბაზრის მოთხოვნები.

დასავლურ საუნივერსიტეტო სივრცეში ლიტერატურათმცოდნეობის/შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამები გვხვდება როგორც სამაგისტრო და სადოქტორო, ისე საბაკალავრო საფეხურებზე. ტრადიციული ფილოლოგიური პროგრამებისგან განსხვავებით, რომლებშიც ეს ორი დარგი რომელიმე (უცხოურ ან მშობლიურ) ენასთან არის ხოლმე დაკავშირებული და, ამრიგად, არ სცდება ერთი კულტურის საზღვრებს, ლიტერატურათმცოდნეობის/შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ფოკუსში მოქცეულია მსოფლიო ლიტერატურა, გლობალური ლიტერატურული პროცესები და

ლიტერატურის ურთიერთმიმართება კულტურის სხვა მედიებთან — სახვით ხელოვნებასთან, კინოხელოვნებასთან, სათეატრო ხელოვნებასთან, ფილოსოფიასთან და ა.შ. წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე ლიტერატურათმცოდნეობის/შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის VI და VII საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში ხელს შეუწყობს როგორც ქართული ლიტერატურის გააზრებას მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის კონტექსტში, ისე ქართული ლიტერატურის შესწავლას დასავლურ აკადემიურ სივრცეში დამკვიდრებული ახალი და უახლესი სამეცნიერო მიდგომების გამოყენებით. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, ცვლილება შევიდეს *სწავლის სფეროების კლასიფიკატორში*, სახელდობრ: კვალიფიკაციები „0232.2.5 ლიტერატურათმცოდნეობა“ და „0232.2.6 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ ლიტერატურის შედარებითი კვლევები“ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში 0232 ლიტერატურისა და ლინგვისტიკის და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის (ლიტერატურის შედარებითი კვლევები) დეტალური სფეროს მეორე სვეტიდან გადავიდეს პირველ სვეტში და დამოუკიდებელი პროგრამის სახით ისწავლებოდეს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, როგორც ეს აშშ-სა და ბოლონიის პროცესში ჩართულ ევროპულ უნივერსიტეტებშია.

## II. სწავლის სფეროს აღწერა

ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების სწავლის სფეროები განისაზღვრება ზოგადად ჰუმანიტარულ და კონკრეტულად კი ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური საკითხების ცოდნით, ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების თავისებურებებით, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის განხილვით.

ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების მომიჯნავე სფეროებია ხელოვნება, და შემდეგი სფეროები ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან: ფილოსოფია და ეთიკა, ენის დაუფლება, ფილოლოგიური მეცნიერებები, თავისუფალი მეცნიერებები, ციფრული ჰუმანიტარია, შუასაუკუნეების კვლევები, და ა.შ., ასევე სოციალური მეცნიერებები, კულტურის კვლევები, გენდერის კვლევები და სხვ.

ლიტერატურათმცოდნეობის, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების სწავლის სფერო შესაბამისი პროგრამებით სტუდენტს უვითარებს ლიტერატურული ტექსტის ანალიზის, კრიტიკულად გააზრების, კონტექსტუალიზაციის, კომენტირებისა და ინტერპრეტირების უნარს; ასწავლის მსოფლიო ლიტერატურის ძირითადი პროცესების ისტორიას; ლიტერატურის თეორიის ძირითად საკითხებს; აცნობს, შერჩევით, სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურის ისტორიას; უყალიბებს საჭირო დარგობრივ და ტრანსფერულ კომპეტენციებს; ხელს უწყობს კულტურულ-მსოფლმხედველობრივ მრავალფეროვნებათა გააზრებასა და დაფასებას, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეალების დამკვიდრებას. ლიტერატურათმცოდნეობის (ლიტერატურის ისტორია, თეორია, კომპარატივისტიკა და სხვ.) დისციპლინებთან ერთად სწავლის სფერო მოიცავს ინტერდისციპლინურ მიდგომებსაც. ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების საბაკალავრო საფეხური

ქმნის წინაპირობას ამავე სფეროს მეორე, სამაგისტრო საფეხურისათვის, რომელშიც ლიტერატურათმცოდნეობის ცალკეული დარგების მიხედვით გაღრმავდება და გაფართოვდება სწავლა და კვლევა ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური ინტერესები შესაბამისი სამეცნიერო კომპეტენციების ათვისებით.

ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების პროგრამებს შეიძლება ჰქონდეს ზოგადი ან/და შედარებითი პროფილი. ასევე, ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების პროგრამებში შეიძლება ფოკუსში მოექცეს სხვადასხვა ლიტერატურათმცოდნეობითი დარგის/დისციპლინის სწავლება, როგორებიცაა, მაგალითად, გამოყენებითი ლიტერატურათმცოდნეობა, შემოქმედებითი წერა (ინგლ. Creative Writing), ტექსტოლოგია (გერმ. Editionsphilologie), ხელნაწერთმცოდნეობა, საგამომცემლო საქმე, ლიტერატურის კრიტიკა, ლიტერატურის ციფრული ანალიზი (ინგლ. Digital Humanities, Distant Reading), მედიათა კულტურის ისტორია, ლიტერატურის დიდაქტიკა, ფოლკლორისტიკა (ხალხური ზეპირსიტყვიერების კვლევა), შედარებითი და კულტურათმორისი ლიტერატურათმცოდნეობა და სხვ. საჭიროების შემთხვევაში, ლიტერატურათმცოდნეობით პროგრამებში შეიძლება გათვალისწინებული იყოს ერთი ან რამდენიმე უცხოური ენის კურსი, რაც უცხოენოვან ტექსტებზე მუშაობის წინაპირობაა.

ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების სწავლის სფერო ითვალისწინებს სტუდენტისათვის ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის კომპლექსური ცოდნის გადაცემას, რომლის გამოყენებაც კურსდამთავრებულს შეუძლია საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში; ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების პროგრამების კურსდამთავრებულები საქმდებიან ლიტერატურასა და კულტურასთან დაკავშირებულ დაწესებულებებში, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებში, გამომცემლობებში, ბიბლიოთეკებსა და არქივებში, მწერალთა სახლში, მუზეუმებში, ასევე, ჟურნალისტიკის სფეროში, მედიასა და სარეკლამო ინდუსტრიაში. ამით ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების პროგრამებს თავისი წვლილი შეაქვს არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაში, არამედ ქართულ კულტურულ პროცესშიც.

### III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნისა და უნარების შექმნა/განვითარებისკენ, რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება შესაბამისი საფეხურის (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) დასრულებისას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ასევე უფლებამოსილია, სწავლის შედეგები, სამივე კომპონენტის (ცოდნა-გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) გათვალისწინებით, ჩამოაყალიბოს სამ კატეგორიად დაყოფის გარეშე.

#### 3.1. ბაკალავრიატი

### 3.1.1. ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის, მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ფართო ცოდნა და განიხილავს მრავალსაუკუნოვანი მსოფლიო ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების პროცესებს; ლიტერატურის ისტორიის ძირითად პერიოდებს, ეპოქებსა და მიმდინარეობებს, მნიშვნელოვან ავტორებსა და ნაწარმოებებს;
- აქვს ფართო ცოდნა ლიტერატურის თეორიის ძირითადი საკითხების, ლიტერატურული გვარების, ჟანრებისა და ფორმების, კანონიკურობისა და ლიტერატურული კანონის შესახებ;
- განმარტავს ძირითად ლიტერატურათმცოდნეობით ცნებებს, კატეგორიებს, პრინციპებს/კონცეპტებს; განსაზღვრავს ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც დარგის, მიზნებსა და ამოცანებს, ფლობს შესაბამის კვლევის მეთოდებს.
- მსჯელობს ლიტერატურის როლსა და დანიშნულებაზე საზოგადოებაში.
- 

### 3.1.2. უნარი

- ხსნის და გადმოსცემს ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად საკითხებს, ლიტერატურის ისტორიის, თეორიისა და/ან კომპარატივისტიკის მიდგომებსა და პრინციპებს;
- კითხულობს და ანალიზებს ლიტერატურულ ტექსტს, ახორციელებს მის ინტერპრეტაციას და კონტექსტუალიზაციას მსოფლიო ლიტერატურის შესაბამის ეპოქებთან, მიმდინარეობებთან, სხვადასხვა კულტურულ სტილთან, ისტორიულ-პოლიტიკურ, სოციალურ პროცესებთან მიმართებით;
- განსაზღვრავს ლიტერატურის სტრუქტურულ მახასიათებლებს; იყენებს საანალიზო მასალის მოძიების, იდენტიფიცირებისა და დამუშავების მეთოდებს; ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს;
- ქმნის გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, აკადემიური სტანდარტების შესაბამის სხვადასხვა ფორმატის ნაშრომს; შესაბამისი თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით აყალიბებს ზეპირ და წერილობით დასკვნას; წარმოადგენს მიღებულ ცოდნას ლოგიკურად ორგანიზებული საილუსტრაციო ნიმუშების დემონსტრირებით.

### 3.1.3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ლიტერატურის ანალიზისას შეიმუშავებს კრიტიკულ, თვითრეფლექსიურ მიდგომას; კრიტიკულად აფასებს ლიტერატურულ ტექსტში ეთიკურ, ისტორიულ-იდეოლოგიურ საკითხებს;
- ტოლერანტობის პრინციპებზე დაყრდნობით ანალიზებს ლიტერატურულ მოვლენებს;
- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პროცესში მოქმედებს საკუთარი და სხვების განვითარების მიზნით, თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების, პროფესიული ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით.

## 3.2. მაგისტრატურა

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული, პროგრამის მიზნებიდან და პროფილიდან გამომდინარე, ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

### 3.2.1. ცოდნა და გაცნობიერება

- ავლენს ლიტერატურის ისტორიის, თეორიის, კომპარატივისტიკის ღრმა, სისტემურ ცოდნას, რაც მოიცავს ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ფუნქციონირების საკითხებს;
- აღწერს ლიტერატურული გვარებისა და ჟანრების ვარიაციისა და კომბინაციის შესაძლებლობებს კულტურული განსხვავებებისა და დიაქრონიული პერსპექტივის, ლიტერატურულ კანონთა ცვალებადობის გათვალისწინებით.
- სიღრმისეულად და არგუმენტირებულად განიხილავს ლიტერატურის როლსა და დანიშნულებას თანამედროვე საზოგადოებაში;
- ამყდავენებს მსოფლიო ლიტერატურის პერიოდებისა და მიმდინარეობების, მისი ახალი და უახლესი ტენდენციების ღრმა და სისტემურ ცოდნას;
- განიხილავს ქართული და/ან ცალკეული ნაციონალური ლიტერატურის სხვადასხვა ასპექტს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

### 3.2.2. უნარი

- საფუძვლიანად მსჯელობს ლიტერატურათმცოდნეობის სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე, უკავშირებს ლიტერატურულ ტექსტს მსოფლიოში მიმდინარე ლიტერატურულ კულტურულსა და სოციალურ პროცესებს გლობალური და კულტურათმორისი კონტექსტის გათვალისწინებით;
- საფუძვლიანად აღწერს და ხსნის ლიტერატურულ პროცესებს; საკვლევი ეპოქის კულტურულ-ესთეტიკურ ღირებულებათა გათვალისწინებით, აკავშირებს მათ შესაბამის ლიტერატურულ, კულტურულ თუ სოციალურ კონტექსტებთან;
- სიღრმისეულად ფლობს საანალიზო მასალის შეგროვება-დამუშავების (საველე, საარქივო, ციფრულ და/ან სხვა) მეთოდებს; დასაბუთებულად შეარჩევს შესაბამის თეორიულ ჩარჩოს / მეთოდოლოგიურ მიდგომას ლიტერატურული ნაწარმოების საკვლევად;
- კრიტიკულად აფასებს სულ ცოტა ერთი უცხოური ენიდან ლიტერატურული ტექსტის თარგმანს; გაიაზრებს და იყენებს საკუთარ ნაშრომში ინტერკულტურული თარგმანის საკითხებს.
- კვლევისას იყენებს ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ფარგლებში შექმნილ ცოდნას, კულტურულ გამოცდილებასა და ეთიკურ ღირებულებებს; აჩვენებს მათ როლს როგორც თანადროულ საზოგადოებრივ პროცესებთან მიმართებით, ასევე ინტერკულტურულ კონტექსტში;
- ქმნის გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებითი აკადემიური სტანდარტების შესაბამის ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომს, რისთვისაც მიზნობრივად სარგებლობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსებით; კვლევის შედეგებს წარუდგენს დარგის სპეციალისტებს და/ან არასპეციალისტებს.

### 3.2.3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ამყდავენებს დამოუკიდებლად და გუნდურად სწავლის, კვლევისა და მუშაობის უნარს, რითიც წვლილი შეაქვს ქართული და მსოფლიო ლიტერატურის დარგობრივი

ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში; გეგმავს საკუთარ და სხვათა პროფესიულ განვითარებას.

- აღიარებს დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებს, კულტურათა მრავალფეროვნების მნიშვნელობას; ამჟღავნებს ტოლერანტობას განსხვავებული აზრისა და კულტურების მიმართ.

#### IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

- ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Bachelor of Arts (BA) - Field of study
- ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master of Arts (MA) – Field of study ან
- ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Bachelor – Field of study
- მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master – Field of study

ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა ფარგლებშიც კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრისა და მაგისტრის კვალიფიკაცია, არის ფართო/მრავალფეროვანი შინაარსის საგანმანათლებლო პროგრამები და მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამის და არჩევით კურსებს ლიბერალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების, ენის, ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების სფეროებიდან. ამ სახის პროგრამები მეტად არის ორიენტირებული კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური, წერითი და კომუნიკაციური უნარების გამომუშავებაზე.

დეტალური სწავლის სფეროს მითითებით ბაკალავრისა და მაგისტრის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამები ორიენტირებულნი არიან პრაქტიკაზე და პროფესიაში პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებაზე.

#### V. სწავლება, სწავლა და შეფასება

ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, შეირჩეს და გამოყენებულ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რელევანტური სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ადეკვატური მეთოდები. სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტს ახალი ინფორმაციის შეგროვებაში, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანაში, კრიტიკულ აზროვნებასა და ცოდნის გაღრმავებაში. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევისას უნდა იქნეს გათვალისწინებული სწავლების საფეხურიც.

სტუდენტის შეფასების სისტემა ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამითა და თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგს, აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსის მიზნებთან მიმართებით. შეფასების სისტემა

უნდა იყოს მრავალკომპონენტური და აფასებდეს სწავლის შედეგს იმ კრიტერიუმებით, რომელთა გაზომვა შესაძლებელია. სტუდენტის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობას, სანდოობას, შეფასების მიზნებსა და მეთოდებთან შესაბამისობას, გამჭვირვალობას.

ქვემოთ წარმოდგენილი სწავლება-სწავლისა და სტუდენტთა შეფასების მეთოდები ყველაზე გავრცელებულია, სარეკომენდაციო ხასიათისაა და განისაზღვრება კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი შეიძლება ითვალისწინებდეს სხვადასხვა მეთოდისა და აქტივობის ერთობლიობას, რის შედეგადაც მიღწეული იქნება წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები.

### 5.1 სწავლება-სწავლის მეთოდები:

ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებას.

სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოფდეს სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა – პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევას უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი – რა უნდა იცოდეს, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესაბამისი ხარისხით რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს. შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უნდა უწყობდეს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებასაც.

ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები:

- ლექცია;
- პრაქტიკული მუშაობა (ჯგუფში მუშაობა, სემინარი და სხვ.);
- ელექტრონული სწავლება;
- და სხვ.

### 5.2. სწავლება-სწავლის მეთოდებით გათვალისწინებული აქტივობები

სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს. სწავლება-სწავლის პროცესში გამოსაყენებელი აქტივობები ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთში გადადის. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლებელია

იყენებდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ, რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა აქტივობას, კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

სწავლება-სწავლის პროცესში სწავლის თითოეულ შედეგთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი აქტივობები (უსდ უფლებამოსილია აირჩიოს ჩამოთვლილთაგან რამდენიმე და/ან განსხვავებული მეთოდიც):

- თანამშრომლობითი სწავლა;
- გონებრივი იერიში;
- შემთხვევის ანალიზი;
- მასალის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავება;
- ჯგუფური დისკუსია/დებატები;
- ურთიერთშეფასება;
- ტექსტების და სხვა მასალის კომენტირება, მათი ინტერპრეტაცია და/ან ანალიზი;
- პრეზენტაცია ზეპირად და წერილობით, მათ შორის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება;
- სტაჟირება;
- პრაქტიკა, მათ შორის სავსე მუშაობა;
- შესაბამისი ციფრული ინსტრუმენტებისა და ენის კორპუსების გამოყენება;
- აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენება;
- ვიზიტი სხვადასხვა პროფილის არქივში, მუზეუმსა და ა.შ.;
- კურიკულუმის მიღმა აქტივობები;
- მოწვეული მომხსენებელი;
- და სხვ.

### 5.3. შეფასების კომპონენტები და მეთოდები

ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები შესაძლოა, მოიცავდეს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის კომპეტენციების შეფასების მეთოდებს:

- ზეპირი გამოცდა;
- წერითი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერითი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება, საშინაო ნაშრომი;
- თეორიული სამუშაო;
- პრაქტიკული სამუშაო;
- ინდივიდუალური და/ან ჯგუფური პრეზენტაცია;
- და სხვ.

საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ კომპონენტში სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს შემდეგი საშუალებები:



- ტესტი/ქვიზი;
- ესე/ არგუმენტირებული ნაშრომი;
- დემონსტრირება;
- პრეზენტაცია;
- სასემინარო მოხსენება;
- რეფერატი;
- თეორიული დავალების შესრულება;
- პრაქტიკული დავალების შესრულება;
- დისკუსიაში/დებატში მონაწილეობა;
- გუნდური მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- და სხვ.

შეფასების მეთოდები უნდა გაიზომოს შეფასების კრიტერიუმებით, ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტი უნდა შეფასდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

#### 5.4. სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება

პრაქტიკული კომპონენტი აუცილებელია ლიტერატურათმცოდნეობის, შედარებით ლიტერატურათმცოდნეობის/ლიტერატურის შედარებითი კვლევების საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის. ის უნდა იყოს დაგეგმილი და ორგანიზებული თანმიმდევრული სტრუქტურით, მჭიდროდ დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან. პრაქტიკული კომპონენტის კონკრეტული მოდელის, მისი შინაარსისა და ფორმის შერჩევა ხდება უსდ-ს მიერ, არსებული რესურსების, ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის, შინაარსისა და კონცეფციის საფუძველზე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რაც საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით:

- თეორიულ/სასწავლო კურსებში გათვალისწინებული პრაქტიკული/სასემინარო საათებით;
- დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსით/კურსებით;
- აქტიური/პროფესიული/საველე პრაქტიკით;
- და სხვ.

პრაქტიკული კომპონენტის შესაფასებლად გამოყენებულ უნდა იქნეს შეფასების შესაბამისი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

#### 5.6. სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარება

ლიტერატურათმცოდნეობის/შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის / ლიტერატურის შედარებითი კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია ორიენტირებული უნდა იყოს კვლევითი უნარების განვითარებაზე, რომელსაც საბაკალავრო, და სამაგისტრო საფეხურებზე წინ უნდა უძღოდეს კომპეტენციის შესაბამისი განმავითარებელი სასწავლო კურს(ებ)ი. კვლევითი კომპონენტი მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი პროგრამაში და მისი თანამიმდევრული განხორციელებით სტუდენტებმა უნდა მიაღწიონ კვლევითი და სამეცნიერო უნარების განვითარებას, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე სამეცნიერო-კვლევითი (სამაგისტრო) ნაშრომის შესრულებით დასტურდება. პროგრამაში კვლევითი კომპონენტი ისე უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფდეს სტუდენტის მომზადებას დასკვნითი კვლევითი ნაშრომის დაგეგმვისა და შესრულებისათვის. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას წინ უნდა უძღოდეს ისეთი თეორიული და პრაქტიკული კურს(ებ)ი, რომლებიც ლიტერატურის სფეროს შესაბამისი კვლევის მეთოდების შესწავლასა და კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში დაეხმარება სტუდენტს.

## VI. დამატებითი ინფორმაცია

### 6.1. დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები:

- საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ (#4084-რს, მიღების თარიღი – 22/07/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010030000.05.001.017899;
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (#688, მიღების თარიღი – 21/12/2004, სარეგისტრაციო კოდი: 430.020.000.05.001.001.626);
- საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ (#3531, მიღების თარიღი – 21/07/2010, სარეგისტრაციო კოდი: 430.050.000.05.001.004.163);
- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG 2015).

### 6.2. მოთხოვნები პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსისადმი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უნდა უზრუნველყოფდეს საჭირო რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, ასევე, შესაბამისი გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე მოწვეული სპეციალისტი. განათლების აკადემიური სტანდარტის შესაბამისად, უსდ-ში უნდა არსებობდეს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, რომელშიც შესაძლებელია ლიტერატურათმცოდნეობის დარგობრივი მახასიათებლით და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამით უნდა იყოს გათვალისწინებული კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები და პერსპექტივები.

## VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1. ლიტერატურათმცოდნეობის/შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ნინო პოპიაშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულმეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი
2.	მარინე გიორგაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორი, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი, ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
3.	ბელა წიფურია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამების, ასევე ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი
4.	ლევან ცაგარელი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამების, ასევე ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი, უმაღლესი საგანმანათლებლო

			პროგრამების აკრედიტაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი
5.	მარიამ მირესაშვილი	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, "ქათული ფილოლოგიის" საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თანახელმძღვანელი, სადოქტორო პროგრამის - "თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია" - ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი
6.	მარინა ტურავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
7.	სოლომონ ტაბუცაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი
8.	ნინო გიორგაძე	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი
9.	ნესტან სულავა	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორი
10.	დიანა მიქელაძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო	ფილოლოგიის დოქტორი, ს განათლების, ჰუმანიტარულ და

		უნივერსიტეტი	სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით
11.	ნესტან კუტივაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ქართული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი
12.	ქეთევან გრძელიძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი
13.	გიორგი ალიბეგაშვილი	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე	ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი
14.	მაია სესკურია-ასლანიშვილი	სულაკაურის გამომცემლობა	უფროსი რედაქტორი, პროექტის მენეჯერი
15.	ირაკლი ხვედელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი	ფილოლოგიის დოქტორი, ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის სამეცნიერო განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

## 7.2. გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

	სამუშაო ჯგუფის წევრის სახელი და გვარი	სამუშაო ადგილი	პოზიცია
1.	ბელა წიფურია	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი
2.	ლევან ცაგარელი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი

3.	ნინო ფირცხალავა	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი
4.	ათინათ მამაცაშვილი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი
5.	ლევან ბერძენიშვილი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი
6.	სალომე პატარიძე	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასისტ. პროფესორი
7.	თამარ ლომიძე	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ემერიტუსი